საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №92/ნ

2025 წლის 19 სექტემბერი

ქ.თბილისი

„ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №08/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლისა და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (№3663-XIIIმს-Xმპ; 15/11/2023, №798-IIმს-XIმპ; 26/06/2025) შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 9 თებერვლის №08/ნ ბრძანების (www.matsne.gov.ge, 10/02/2021, სარეგისტრაციო კოდი: 430050000.22.022.017989) პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნის და ადმინისტრირების წესისა და პირობების“:

1. მე-3 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-2 პუნქტს ,,თ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ^{1}“ ქვეპუნქტი:

,,თ^{1}) სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;“.

2. მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის (შესაბამისი სწავლასთან დაკავშირებული სირთულის/საჭიროების მითითებით) სტატუსი, აღნიშნულის დამადასტურებელი ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების დასკვნა.“.

მუხლი 2

1. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გივი მიქანაძე**
მინისტრი